ეშმაკის ფარანი

ფასი 10 მ.

№ 13

1920 წ.

ოქტომბერი. 15

გვირგვინოსანი სასიძოები.

ქ-ნი ანტანტა. (ჰუნგრეთს) აბა, ჩემო გოგონა, ამოირჩიე ამათში რომელი უფრო მოგწონს?
ჰუნგრერთ. ორივე წყალმა წაიღოს.

ქვორუმი.

გუშინწინ განსაკუთრებულის ხალისით მივდიოდი დამფუძნებელ კრებაზე დასასწრებლათ. ვფიქრობდი:

— მივალ, ვნახავ, ან შენეგლაია, ან გობეჩია სიტყვას იტყვის და ამ ჯავრიან გულს გადავაყოლებ მეთქი.

როგორც ხედავთ, განზრახვა სრულიად უმანკო და უპრეტენზიო მქონდა.

ჯერ კიდევ თორმეტი საათიც არ იყო, როცა სასახლის კიბეს შევუდექი. ამ დროს ჩვეულებრივათ ეორეიკ მაღალოვი დადის ოთახიდან ოთახში და აგონებს დეპუტატებს სხდომის დასაწყისის მოახლოებას.

დღეს კი სწორეთ შუა კიბეზე შემეხეჩა ჩემი მეგობარი ზიპო და ჩვეულებრივის მხიარულებით გადმომძახა:

— საით, ეშმაკო?

— დამფუძნებელ კრებაზე, ჩემო კარგო.

— კრება დაიხურა!

— რას ამბობ, ზიპო? როგორ თუ დაიხურა?

— ქვორუმი არ დარჩა!

ჭირის ოფალმა დამნამა. სიტყვა „ქვორუმი“ ვერ გავიგე. თავმომწონე კაცი ვარ: კითხვაც შემრცხვა. ახ, ღმერთო ჩემო, ეს როგორ მოხდა, ზიპომ იცის ვინ არის ქვორუმი და მე კი არ უნდა ვიცოდე? არა, არა, კითხვა არ შეიძლება, ეს თავის მოჭრა და სირცხვილის ჭამა იქნება.

— რატომ არ დარჩა, მეგობარო?

— არ მოვიდა.

— შე კაი კაცო არ მოვიდა რა!.. მისი ნება თუ იქნება, არასოდეს არ მოვა.

— არ მოვა და რას უზამ...

— როგორ თუ რას უზამ... დავიჭერ და ისე მოვიყვან.

— რომელ ერთს დაიჭერ, რომც დაიჭირებოდეს.

მაგრამ დაჭერაც არ შეიძლება.

ამ მცირე ლაპარაკიდან მე უკვე გავიგე რომ ქვორუმი ბევრი ყოფილა და ცნობის მოყვარეობა უფრო გამეზარდა.

— ვითომ რა იქნება რომ დავიჭიროთ. უცხოელიც რომ იყოს...

— უცხოელობა არაფერია, ჩემო ეშმაკო, საქმე შეუვალობაა.

— თუ არსად არ შედის, პირდაპირ ქუჩაში მოჰკიდეთ ხელი.

— შედის, როგორ არ შედის, შე კაცო, მაგრამ თითონ არის შეუვალი, ხელს ვერავინ ახლებს.

— ღონიერია?

— რის ღონიერი, რას ამბობ. კანონითა აქვთ მინიჭებული ასეთი უფლება. ყველაფერი მისი ნებაა.

პირდაპირ დავიბენი. თითქმის ყველა თანამდებობის პირს ვიცნობ ამ ქალაქში, მაგრამ ეს ქვორუმი, რომელსაც ასეთი შეუვალობა ჰქონია, სად გამომეპარა, ველარ გავიგე.

— თუ მასთან ალარაფერი გადის, რატომ არა სთხოვთ, ჩემო ზიპო?

— თხოვნა ყველაზე ნაკლებ გადის, ჩემო ეშმაკო, თორემ პრეზიდიუმი თხოვნის მეტს რას აკეთებს.

— მაშ რას აპირობთ?

— წარმოიდგინე, შენთვისაც გვინდოდა გვეთხოვა, რომ ერთი „ეშმაკის მათრახში“ გამოხატო ლაზათიანად.

— დიდის სიამოვნებით, მაგრამ სურათს ვინ იშოვნის. ხომ იცი უსურათოდ შეუძლებელია.

— მთელ გრუპპას მოგცემ, ყველანი იქ არიან.

— ქვორუმები?

— ა ?

— ვინ არიან გრუპაში?

— დეპუტატები.

— მერე?

— მერე დახატე.

— კი მაგრამ ქვორუმი?...

— ეგ შენ უნდა გამოიყვანო.

აუწერელ უნუგეშო მდგომარეობაში ჩავარდი! ისეთ გუნებაზე ვიყავ, რომ თუკი მაშინ ქვორუმს სადმე გადავყროდი, პირდაპირ შემომაკვდებოდა. გამოვეთხოვე ზიპოს და ფრაქციის ოთახში ანტიპოსთან მივიჭერ.

— ანტიპოს გაუმაუჯოს.

— გაუმარჯოს ეშმაკს.

— ასე ადრე რათ დაიხურა კრება?

— ქვორუმი არ შესდგა.

— ვითომ რა მინდაო?

— ვერ ასწრებენ, ჩემო ეშმაკო?

— რა ცალები ჰკიდიათ?

— ყველანი სამსახურში არიან, პასუხსაგებ სამსახურში.

— მაინც?

— მაინც... ქალაქთა კავშირში, ერობებში, საბჭოში..

მე თვალები დავაჭყიტე, ადრინდელზე კიდევ უფრო დიდ საგონებელში ჩავარდი. ქალაქთა კავშირში ნიკო და მელიტონი მსახურებენ. ნუ თუ ესენი არიან ქვორუმები?. დასწყევლოს ღმერთმა, იქნებ ახლა მოიგონეს ასეთი სახელი! არც არავინ ერობის მოსამსახურეთაგანი არა ჰგავს ქვორუმს. შეიძლება ქალაქის თავი.. არა, არც იმაზე ითქმის.

თავბრუ დასხმული მოვბრუნდი და შინისკენ გამოვეშურე. თეროზე ტეხნიკურ საზოგადოების მიერ გამოცემული სიტყვარი მეგულვებოდა და მთელს იმედებს იმაზე ვამყარებდი.

— კვ... კვ.. კვ... გულის ფანცქალით ვიმე-

ორებდი და მთრთოლავი თითებით ვფურცლავდი სიტყვარს.

— კვადრანტ—წრიოთხედი..

— კვადრატ—წესფართი..

— კვასცი—შაბი.

—კვაშენიე—ფუება...

— კვიტანცია—ქვითარი..

ქვორუმი კი არსად! ქვორუმი კი არსად!

ალბათ ამ სამწუხირო ამბავმა გული შემიწუხა, ვინაიდან, როცა გონს მოვედი, საწერ მაგიდაზე მელნის ტბა იდგა და შიგ ეს ფელეტონი ცურაობდა.

ეშმაკი.

შექანჯალებულის ლექსი.

I.

ჰო, ჰო, ჰო, ჰო!! როგორ ცივა!!
უჰ, უჰ, უჰ, უჰ,!! როგორ ყინავს!!
ჩემი ტვინი გაუყინავს,
და კოსროს ქვეშ ყვავი ფრინავს...
რა ვქნა, ღამით რომ არ მძინავს,
მცივა, ტანი მთლად მიზრება,
ვინ მოსთვლის რა მესიზმრება,
რა ვქნა, ძილში ვიცი შფოთვა,
წუხელ ასე ვიწყე ბოდვა:
„რატომ ელტვით ყველა თბილისს,
სიძვირეა ძმავ, აქ ფქვილის,
ვერ იშოვნით სანოვაგეს,
მოკვდეთ, პასუხს ვანო აგებს?.
ყველამ აქ რომ მოირბინოთ,
ვერ იცხოვრებთ ხომ უბინოთ,
ისევ გადაგასახლებენ...—
რაო?!? ხელსაც ვერ გახლებენ?!?
ალბად მზად გაქვს შენ ადგილი,
გეყოლება აქ ძმობილი,
ამ მომენტში დიდი „მსხვილი“,
ან მოყვარე, ნათლობილი,
ან და შენი გვარისშვილი—
მაშინ გელის ყოფნა ტკბილი,
ჭამა-სმა და ბინა თბილი.
შეგობარი, ძმავ, ბევრს ნიშნავს:
— ხელად ადგილზე დაგნიშნავს,
„მოგათავსებს“ უცებ სადმე,
მიტომც ერთ სტოლს ორმოცამდე
გარს უსხედან ქალ-ვაჟები,
მკვირცხლები და გიჟმაჟები,
თითქოს ქონდეს მათ ქორწილი!..
რატომ აგიტყდა სიცილი,
შენს პირს შემწვარი წისქვილი!..
ერთი გობი ქატო ფქვილი...

II.

დიპტი-პიტო, დიპტი-პიტო...
დიპტი-პიტო, დიპთი, დაფთი!!
გაგვიძვირდა უცებ—ნავთი,
რით მოვხარშო მაშ, საჭმელი,
ჩემს ოთახში უკუნ==ბნელი...
მქონდეს მაინც ელექტრონი!!
როგორ წახდა ჟამი, დრონი...
რომ არა გვყავს ჩვენ პატრონი...
მაინც, მქონდეს ტელეფონი,
შორს მანძილზე გასაგონი,
ქალებს უწყო მასლაათი:
თებრო, კესო და აღათი
ხშირ-ხშირად გამოვიძახო,
და გავიგო საქმე მათი:
თეატრში თუ მიდის ნატო,
კაბას თუ იკერავს კატო,
ან ხომ არ მემდურის ნინა,
ჩემმა ძაღლმა რომ უკბინა...
ვაჰმე... ეშმაკმა მირქინა,
ჭკუა ძალზე ამატკინა.
ჩამაფრქვიეთ ცხვირში ქინა,
თაგბრუ მესხმის... დამეძინა!

III.

ლალე, ლალე, ლალე...
მითხარ, გენაცვალე,
ჩემი „საქმეები“
მაუდს ქვეშ დამალე?!?
შემისრულეთ მალე,
აქ სვლით ღავიღალე,
მოვკვდი, შემიბრალე!
— ლალუ, ლალუ, ლალე!!
კიდევ მოდი ხვალე!!
გესმის? მოდი ხვალე!!
გული გამიწყალე,
გასწი, გამეცალე,
ნერვი ამიშალე!!!.

IV.

ჰერი, ბიჭო, ჰერი, ჰერი!!
ზეიმებზე დავითვერი!!
თებრო, გულქან, გერასიმე,
ხომ კი, კარგად ვიზეიმედ!
გავიფუყეთ, გავიჭიმეთ:
იქ ზეიმი, აქ ზეიმი,
დღეს ზეიმი, ხვალ ზეიმი,
ზეგ ზეიმი.. სულ ზეიმი.
ჩქიმი ცოდვა, ბრალი ჩქიმი..
საქართველო, ძმავ ყველგანა,
იცვნეს, ხუმრობაა განა!
ჩვენზე ხმაურობს ქვეყანა!
ნანი—ნანა—ნანი—ნანა—
ზეიმს გარდა რაღა გვინდა!
საქმე ხომ კი დაგვირგვინდა!!
მაშ, ზეიმი!! სულ ზეიმი—
სხვა მეტი რა დაგვრჩენია!

ბანი მითხარ, გირჩევნია,
პირი რომ დაგიფჩენია!!

IV

ეხლა ძმაო, ვინც კაცია,
ბეჯითი და მამაცია,
და არ ჩემებრ ზარმაცია,
უყვარს სპეკულიაცია,
დღეს სულ ყველა ბაცაცია,
სხვას გააძვრეს, რაც აცვიათ,
მე კი, რაც მაქვს უნდა ვყიდო,
დაილოცე ღმერთო დიდო,
სადარს შენი სამართალი,
მე მშიან და ის კი—მთვრალი!!!
თავში ხვლიკი მყავს შემძვრალი.
ჩქიმი ცოდვა, ჩქიმი ბრალი.—

შექანჯალებული.

ორგვარი სახე სპეკულიანტებისა (როსტოვის ჟურნალიდან.)

არა სასურველი

სასურველი

„ეშმაკის მათრახის“ კანტორისაგან.

ამიერიდან „ეშმაკის მათრახი“ ღირს თვეში 40 მანეთი, თითო ნომერი 10 მან. ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ 3 თვით. სვედრი ფასი ხელის მომწერლებმა წინდაწინ უნდა გამოგზავნონ.

იმ ხელის მომწერლებმა, რომელთაც ჟურნალი დაკვეთილი აქვთ დაუყონებლივ უნდა გამოგზავნონ ზედმეტი 16 მანეთი ეოველი თვისა მომატების დღიდან.

რედაქციისა და კანტორის მისამართი: თფილისი, რუსთაველის ბრ. № 24. „მათრახისათვის“.

ოინი.

(საიუბილეო მოთხრობა).

აგერ მეხუთე დღე თენდებოდა, რაც დარისპან ქარსიძე და კაროჟნა, მისი ქალიშვილი, სოფელ მაღლაშენში იყვნენ სტუმრად, კირილე მიმინაშვილის ოჯახში და როგორც ეტყობოდათ, ჯერ დიდ ხანს არ აპირებდნენ აქედან დაძვრას. თითონ კირილე ამ სამი დღის წინ სხვაგან წავიდა, ოტია ქამუშაძის დედის, ეკვირინეს, სატირალში, და კირილეს ცოლი, დარიკო სამანიშვილის ქალი, მარტო ფუსფუსებდა ოჯახში.

,,არ გააგდეს ძვალი ამ სასიკვდილეებმა!.. რომ არ იქნა ამგვარის წასვლა! მთელი თავისი დღე და წუთისოფელი ასე უნდა იყიალონ სოფლიდან სოფელში და ერთი ოჯახიდან მეორეში, დეიქცა მაგენის ოჯახი, რავარც კია დაქცეული! ქვეყანას აწუხებენ და თავსაც ვერაფერი უშველეს! რომ ველარ მიხვდა ეს მიუმხვდარი, რომ მის დამქავებულ გოგოს აღარავინ თხოულობს! იმის ქკუა მაინც რატომ არა აქ, რომ ძველი დრო აღარ არის, ფუთი დაფქვილი 20 თუმანი შეიქნა და ორი კაცის შენახვას ორი მგლის შენახვა სჯობია ჩვენ დროში!"

ასე წუწუნებდა მარტო თავის ამარა მიტოვებული წვრილშვილიანი დარიკო, მაგრამ პირდაპირ არა თუ ერაფერს ეუბნებოდა აბეზარ სტუმრებს, სულ თაფლი მოსდიოდა პირში და მომხიბლავი ღიმილი უთამაშნდა სახეზე, ლაპარაკს რომ დაუწყებდა.

— მოგიკვდა ჩემი თავი, ბატონო დარისპან! ბარემ ვიცი, რომ შენ საკადრისათ ვერ გაგიმასპინძლდი, მარა რა გეეწყობა! თქვენ ოღონდ ჩემი ოჯახიდან წაბრძანებას ნუ ინებებთ ჯერ, აგერ ჩემი კაციც დაბრუნდება სადაცაა და მაშინ სულ სხვანაირათ დატრიალდება საქმე!.. შენ მაინც ნუ მომიწყენ, ჩემო კაროჟნა, დაგენაცვლის შენი დარიკო, ვინ იცის, შენი იღბალი აქ, ამ ჩვენ მაღლაშენშია, სადმე დამალული და გიდარაჯებს! ნუ მომიწყენ, ჩემო კაროჟნა, შენი ჭირი შემეყაროს!

კაროჟნა თავჩაღუნული იჯდა ფანჯარასთან და წარბებ ქვეშიდან გაჰყურებდა უაზროდ თოვლით დაფენილ გზას და მოღრუბლულ ცას. დაუსრულებელ ხეტიალს და ნიადაგ გათხოვებისთვის ზრუნვასა და ფიქრს ისე გამოელაყებინა მისი გონება, რომ სხვა რაზედმე აზრის შეჩერება და ტვინის განძრევა აღარ შეეძლო. გულ-გრილად ისმენდა იგი დარიკოს სიტყვებს, პასუხისთვის ენის მობრუნებაც კი უჭირდა და იჯდა ისე უძრავად, თითქო მას კი არა, ვისმე სხვას ელაპარაკებოდენ. ტკბილად მოუბარ დარიკოს კი გულზე ცეცხლი ედებოდა და განსაკუთრებულ სიძულვილს კაროჟნასადმი გრძნობდა: თავიდან არ შორდებოდა ის აზრი, რომ კაროჟნამ მას უკანასკნელი შუშის ჭიქა გაუტეხა გუშინ წინ სალამოს...

უცებ სახლში შორეული სიმღერის ხმა შემოიჭრა. დარიკომ ყურები დაცქვიტა, ერთ წუთს შედგა მეძებარივით და კარში გავარდა.

დარიკო არ შემცდარა. სიმღერა თან და თან ახლოვდებოდა და რაღაც ორი წუთის შემდეგ ეზოში შემოჯირითდა თავის ლამაზ, წაბლის ფერ ცხენით ძალზე შეზარხოშებული კირილე.

— მისთვის მიყვარს ნარიმანი, სიმონიკას მამა არი, ნარიმანი გო-ო-ცა-ამე!... გაჰკიოდა კირილე.

თუმცა კირილეს ამ გვარი მოსვლა ყოველად ჩვეულებრივი მოვლენა იყო, მაგრამ დარიკო სირბილით გაექანა მისკენ, წაავლო ცხენს ხელი აღვირში და გააჩერა.

— სატირალში წახვედი, შე უბედურო, თუ ქორწილში, ასე გალეშილი რომ მოდიხარ სახლში? —მიაძახა მან ქმარს და უნდოდა კიდევ გთქვა რაღაც, მაგრამ კირილემ აღარ აცალა და გააწყვეტინა.

— ჩვენ გახლავართ მიმინაშვილები! მიმინოს შვილები!.. მიმინოს!.. ჩვენთან რა უნდა მწუხარებას! ორიოდე დღე ვიცოცხლო, გული მწუხარებით ევივსო, მოლხენა დავაკლო და ისე წავაყრევინო ზედ მიწა? ჰა-ჰა-ჰა-ჰა! ვერ მოგართვით! ჩვენ გახლავართ მიმინაშვილები! მიმინოს შვილები! ჩვენთან რა უნდა მწუხარებას... ხო-მე-რი-კი მიწას გვარ-თმევს, სი-მო-ნი-კა გვა-სამარ-თლებს.. —დაიწყო კიდევ კირილემ.

— გაჩუმდი, შე სასიკვდილევ!—ველარ მოითმინა დარიკომ: გაჩუმდი, ნუ ღრიალებ, შე უბედური დღის გაჩენილო! ერთს მაინც რატომ არ იკითხავ, ჩემ გულში რა სიმღერა ტრიალებს!

—ჰო, რა იყო?.. რა ამბავია?.. რაშია საქმე?..

— რა ამბავია და ი შენი დარისპან ქარსიძე და მისი მზისუნახავი ფეხს აღარ იცვლიან შენი ოჯახიდან და რავარც გინდა ისე ეპატრონე მათ.

— ჰა-ჰა-ჰა-ჰა!-გადიხარხარა კირილემ: არა, ხუმრობ თუ მართალს ამბობ, დარიკო ჩემო, ჰა?.. კიდევ არ წასულან? ჰა-ჰა-ჰა-ჰა! ი, დასწყევლოს ღმერთმა! ჰა-ჰა-ჰა-ჰა!

— შენ გეცინება, ფეხებზე გკიდია ეს ამბავი და ერთი თვის სამყოფი ჭადი რომ შეგიქამეს, ბღარებს რაღა უნდა აჭაშო, ამას აღარ კითხულობ! ან კი შენ რა გეკითხება, ოღონდ შენი საღორე მუცელი ამოიყორო და ცოლ-შვილს ფეხიც გაუცხია!

— არა მოიცა, მოიცა, დარიკო ჩემო! ნუ გაცხარდები!.. მართლა აქ არიან? ჰა-ჰა-ჰა-ჰა!— და კირილე გადმოხდა ცხენზე, გადასცა სადავე ამ დროს მოსულ მოსამსახურე გოგოს, ნინოიას, და ოდნავის ბარბაცით, მაგრამ მაინც კიდევ საკმაოდ მტკიცე ნაბიჯით გაემართა სახლისკენ.

— ჰა-ჰა-ჰა-ჰა,!-ხარხარებდა გზაში კირილე: ამან შეგაწუხა მერე, შე კაი ქალო?

კირილე შედგა, რამდენსამე წამს უძრავად იყო გაჩერებული და სახეზე ეტყობოდა, რომ რაღაც ეშმაკურ გეგმას ამზადებდა. უცებ მოწყვეტით მიტრიალდა დარიკოსკენ და გადიხარხარა.

— ჰა-ჰა-ჰა-ჰა-ჰა! რას მამცემ, დარიკო ჩემო, ი შენი სტუმრები რომ ნახევარ საათში ავყარო აქედან, ჰა! რას მამცემ-მეთქი! მე და-ვერ მოვახერხო? მე—კირილე მიმინაშვილმა! ჰა-ჰა-ჰა ჰა!

— რას აპირებ ახლა შენ, თუ ღმერთი გწამს? გლახა არაფერი ჩეიდინო, არ გამოგვჭრა ყელი! სტუმრები არიან, რაც უნდა იყოს... ხალხში სირცხვილი არ მაჭამო!.,

— შენ დარდი ნუ გაქვს, ჩემო დარიკო! ის მე ვიცი და ჩემმა ბიჭობამ!. როდის შემირცხვენიხარ აქობამდე, რომ ახლა შეგარცხვინო?..—და კირილე მტკიცე ნაბიჯით გაეშურა სახლისაკენ.

— აქა მშვიდობა!—მიესალმა სტუმრებს ახალ მოსული მასპინძელი: რა კაი გიქნია, დარისპან ჩემო, რომ ჩემ მოსვლამდე არ წასულხარ! აბა, დარიკო, შენ ერთი კაი დედალი დაგვიკალი სადილათ და დვინო ჩემ კისერზე იყოს! მიამა, მე და ჩემმა დმერთმა, მიამა, რომ აქ დამიხვდი!

— რა ვქნა, შენი ჭირი შემეყაროს, ჩემო კირილე! ბარემ მე კი არ ვიცი, რომ ამ ჩვენს დასაქცევ დროში ადამიანის ოჯახში მიხდომა და ათ დღეს გაჩერება კაცის მტრობას ნიშნავს, მარა სხვა გზა რომ არა მაქვს! შენ ჩვენიანი ბრძანდები და არაფერს დაგიმალავ, კირილე ჩემო: ამ ჩემი ცოდვით სავსე გოგომ დააქცია ჩემი ოჯახი და მაგის გულისთვისაა ქვეყანას რომ თავს ვაბეზრებ. ახლა, ბატონო, სოლომან მორბელაძეს ხომ იცნობ, იმას მოველი აქ, შენ ოჯახში, გუშინწინ უნდა მოსულიყო ამ გოგოს თაობაზე: ერთი, კაი ბიჭი შეგულება სალობერიძეებში და უსიკვდილოთ გავჩარხავ საქმესო, ასე მითხრა. ალბათ, რამემ შეაფერხა და დროზე ვერ მოვიდა. სულ რომ ჯოხი მირტყა, აქედან ფეხს ვერ დავძრავ, სანამ სოლომანი არ მოვა, ჩემო კირილე!..

— აი ყოჩაღ! აი და მალადეც, დარისპან ქარსიძე!—წამოიყვირა კირილემ: აი, ამას ქვია ძმობა და მეგობრობა!.. რაკი ასეა, ჩემო დარისპან, გაფიცებ მაგ შენ გასათხოვარ ქალიშვილს, ერთი რამ შემისრულე: როგორც დღეს დამიხვდი აქ და ჩემი გული გაახარე, ისე ახლაც, ფეხი არ მოიცალო აქედან ჩემს ჩამოსვლამდე: დღეს რომ ხუთშაბათია, სამშაბათ საღამოს თუ არა, ოთხშაბათ დილას აქ გავჩნდები.

— კიდევ მიბრძანდები სადმე, კირილე?—შეწუხებულის ხმით ჰკითხა დარისპანმა.

— ჰო, დარისპან ჩემო: ქალაქში მივდივარ... კვირა დილას უსიკვდილოთ თბილისში უნდა დავრჩე!

— რა საქმე გაქვს მისთანა ქალაქში, რომ უსათუოდ უნდა წახვიდე?

— დიდი საქმე დარისპან, ძალიან დიდი: კვირას ქალაქში მისთანა ამბავი იმართება, რომ მთელი იმერეთი იქ იქნება თავმოყრილი.

— მაინც რა ამბავია ასეთი, კაცო? ვინმე დიდი კაცის ქორწილი ხომ არ არის?

— დიდი დღესასწაულია, დიდი! დავით კლდიაშვილს ხომ იცნობ, ჩვენ დავითს? ჰო და დავითის დღესასწაულია, 30 წლის მოღვაწეობის დღესასწაული! მთელი ქვეყანა იქ იქნება თავმოყრილი, უფრო კი ყმაწვილ-კაცობა... აი სად იქნებიან კაი სასიძოები, ჩაჩიჩქინებული ბიჭები შეგროვილი, ჩემო დარისპან, ჰა-ჰა-ჰა-ჰა-ჰა!—გადიხარხარა კირილემ და დარისპანს მიაჩერდა თვალებში.

დარისპანმა ყურები დაქვიტა და სკამიანათ გადინაცვლა კირილესკენ.

— შენ ისე ლაპარაკობ, კირილე ჩემო, ვითომ ყველა ეს კაცები ერთად, ერთ სახლში იქნებოდენ შექუჩული.

— აპა რავა გეგონა? ერთ დიდ სახლში იქნება ყველა. ვინ იცის, იქნება შენი კაროჟნას ბედიც იქ იყოს მომწყვდეული, იმ პალატებში დარისპან, ჰა? ხა-ხა-ხა-ხა-ხა!—კიდევ უფრო გულიანად გადიხარხარა კირილემ.

დარისპანს ფერი ეცვალა, კაროჟნას გადახედა ცალი თვალით და შემდეგ ისევ კირილეს დაუწყო ცქერა იქვიანისა და უმწეო თვალებით.

— აპა, ბევრი ყმაწვილები იქნებიან იქ კირილე? ცოლ-სათხოვარი ბიჭები?—ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ ჰკითხა მან კირილეს.

—იმდენი წელიწადი შენ გასძელი და მეც, ჩემო დარისპან!

— რავა მირჩევ შენ ახლა, კირილე ჩემო: მოდი მივატოვო ეს სოლომან მორბელაძე და მისი სალობერიძეები—სულ ერთია მაინც არსად სჩანს ჩემი სოლომონი—და წამოვიდე თბილისს!

— ისენც კაი დაგემართოს, კაი ჭკუა ეგ იქნება?.. მარა ა-პა ა-პა-პა! ნიკაკიხ! პირობა დაგავიწყდა, რომ აქ უნდა დამიხვდე, ჩემს ოჯახში?

— სულ ერთია, ამ დასაქცევ ქვეყანაში არაფერი ეშველა ამის გათხოვებას... მოდი, ერთი იქაც ვსინჯო, ამ უკანასკნელად... ერთად წავიდეთ ჩემო კირილე, შენი ჭირი შემეყაროს. აბა, ბოშო, კაროჟნა, მოემზადე ჩქარა, ახლავე უნდა გაუდგეთ გზას, სახლში შევლა უნდა მოვასწროთ...

ბევრს ეხვეწენ კირილეც და დარიკოც დარისპანს, სადილათ მაინც დარჩითო, მაგრამ ვერაფერს გახდნენ და დიდი საყვედურებით გააცილეს თავიანთ ოჯახიდან. მეორე დღეს კირილე დაუხვდა დარისპანსს და კაროჟნას დარკვეთის სადგურზე, საიდანაც თბილისს გამოემგზავრა მათთან ერთად.

დღეს დარისპან, კაროჟნა და კირილე თბილისში არიან და კვირას, რა თქმა უნდა, საიუბილეო დღესასწაულს დაესწრებიან.

თ—ნა.

დავით კლდიაშვილის იუბილე.

კირილე მიმინაშვილი. მე, ბატონო დავით, თქვენ კარგათ მიცნობთ, ვინცა ვარ! მიმინიშვილი გახლავარ, კირილე მიმინაშვილი! მიმინოს შვილი! მართალია, აზნოუშვილობა მოისპო, ბატონო დავით, მარა ღვთის გაჩენილი შთა-ბარის გასწორება კაცს არ შოუძლია, ბატონო! სისხლი მაინც სისხლია და ამიტომ, როგორც თქვენც ქეთილშობილი ბრძანდებით, მეც ამ მცირე სასმისით თქვენ სადღეგრძეთოს გიახლები, ჩვენი გვარის მიმინაშვილების მაგიერ. აგრეთვე, ბატონო დავით, ივანე გვერდგვანიძემ დამაბარა თქვენთვის დაბალი სალამი, ახლა ის კომისარი გახლავს და რაც შეიძლება კარგათ მიყავს თავის საქმე, გაავსო, ბატონო, ოჯახი, ყოველივე ხორაგოულობით...

დარიხპან. (კაროტნას) აბა, ბოშო, კაროტნა, ახლავე შენი ვეჩერეზი მოვა... კირილე რომ გაათავებს ლაპარაკს, შენ უნდა დეიწყო, იცოდე! რავარც კი წამოვა, ხელათ უნდა დეიჭირო მისი ადგილი, თვარა ათასი კაცია მოდარაჯებული; ხომ ხედავ, ეგერ ჩვენს ვარდენ ყიფიანს ხუთი კაცი ძლივს აკავებს, წუწუნავაც რავა გადაჩხმახებულა და მოარღვევს ხალხს... აბა შენ იცი, რავა ლამაზით დეიწყებ... შენი ბედი ამ სახლში გადაწყდება: მთელი იმერეთი მოვიარეთ, 5 კომლიანი სოფელიც კი არ დაგვიტოვებია, რომ არ ვყოფილიყოთ და შენს გათხოვებას არაფერი ეშველა, ეგება აქ გაგვიცინოს ბედმა... აბა შენ იცი, შვილო კაროტნა, რავარი რიხით დეიწყებ! აბა! ჰა! მგონი ათავებს... მეემზადე!..

დეპეშები.

გარეთ კახეთი. ივრის თემის მილიციის უფროსს ბოროტი ენები აბრალებდენ, თითქო მას მიეთვისებიოს ხბოიანი ძროხა, სახაზინო ცხენი და ჩამორთმეული პური. სამაგიეროთ, როგორც შეეფერება ბოროტი ენების ნაყოფს, საქმე ჩაფუჩეჩების კომისიას გადაეცა.

სართიჭალა. ადგილობრივ კომისარს აღმოაჩნდა (დამახინჯებულია) 4 ცხენი და 7 სული ხარი. დაეპატიმრეს ნაქურდალი კომისარი.

№ X.

ლესა. ექიმების აზრით, თუ კარგი მომვლელი ეყოლება, შეიძლება იმედი ვიქონიოთ იმედი კოოპეტივ „იმედის“ გადარჩენისა. **ახლობელი.**

—

ახალ სენაკი. ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა სამაზრო ერობის გამგეობას სამაგალითო გაკვეთილები მისცეს მეურნეობის წარმოებისა. ამ მიზნით განზრახულია: ქალაქის ბაღი გადაიბაროს და აპრილის მიწურულში დაითესოს საადრეო კარტოფილი. ნაწილი მოსავლისა გაიყიდება საგარეო ბაზარზე ხარჯების დასაფარავად; მეორე ნაწილი მოხმარდება ქალაქის მცხოვრებთ, ხოლო ნამუსრევი გატანილ იქმნება მაზრაში სანოვაგეზე ფასების დასაცავად.

ჩვენებური იუბილე



საიუბილეო მილოცვების დასაწყისი.

ეს მემცხეთეობა!..

როდესაც ჩემი ჭკუა გონება
შორს—შორს საღაცა დაეხეტება,
და თუ ამითი ქვეყანას ვარგე,
სწორეთ რომ გითხრათ, ეს მემცხეთეობა.
როდესაც ქვეყნის ჭირი, ვარამი
გულსა ლოდივით თუ არ მედება
და ჩემგან მისთვის ერთგული შრომა,
სწორედ რომ გითხრათ ეს მემცხეთეობა.
როდესაც გულის სიღრმეს არ მწვდება
ტანჯული ხალხის სულის კვეთება,
მე რომ იმათთვის ვიზრუნო რაშე,
სწორედ რომ გითხრათ, ეს მემცხეთეობა.
როდესაც ვხედავ მოძმეთ სიკეთეს
ბოღმა და ჯავრით მომდის ფეთება,
და თუ მე იმას ხელი შეუწყო,
სწორედ რომ გითხრა ეს მემცხეთეობა.
როდესაც ჩემგან არ შეიძლება
საერთო საქმის მსახურ კეთება
და რომ ქვეყნისა გამგეთ, შევიქნე,
სწორედ რომ გითხრათ ეს მემცხეთეობა
როდესაც ქვეყნის მავნეთ ვშობილვარ,
ძალი აღარ მიძს გამოკეთება,
რომ დამავალონ არგე მეოძმესო,
სწორედ რომ გითხრათ, ეს მემცხეთეობა.

ან. განჯის-კარელი

ჩვენებურ იუბილეი



მილოცვების დასასრული.

სასარგებლო საქმე

რკინის გზელების საყურადღებოთ.

ამით ვაცხადებ ამხანაგ რკინის გზელების საყურადღებოთ, რომ ზესტაფონის სადგურის ტელეგრაფში იხსნება ძველი ტანისამოსების საღებავი ქარხანა. ვინაიდან რკინის გზელებს, ჯამაგირების სიკოტავის და მანუფაქტურის სიძვირის გამო, ახალი ტანსაცმელის შეძენა არ შეუძლიათ და შეძენილიც შემოაძველდათ, რომ ძველებს სიახლის ფერი მივცეთ და იოლათ ჩავატაროთ სიძვირე, გთხოვთ გამოეშუროთ აღნიშნულ ქარხნისაკენ. ქარხანა მოწყობილია კოოპერატიულ ნიადაგზე. ნიმუშად საკმარისია თვალი გადაავლოთ ტელეგრაფის კედლებს, შიგ მომუშავე მოხელეების სახეს და მათ ტანსაცმელებს, რომ დარწმუნდეთ ამავე საღებავის უმაღლეს ღირსებაში. გაძლევთ პატიოსან სიტყვას, რომ ერთი ღამის განმავლობაში საკმარისია ჩვენი სისტემის ოთხი მხრჩოლავი ლამპა სამოსელს სრულიად შეუცვალოს ფერი. იმავე ლამპების ჭვარტლი საუკეთესოთ ღებავს წვერულვაშს, თმას, ამოყავს და ამაგრებს მას, ასწორებს სახეზე ნაოჭებს, ხოლო უკეთუ განსაზღვრულ დოზას შიგნით ინებებთ, ახდენს ფილტვების დეზინფექციასაც.

გურული სცენა.

ქე არ მაჯობა ჭკუით ჩემმა ანუსიამ, ქე არ მაჭამა სირცხვილი? აგი შეჩვენებული, აგერ ორმოცდა ათი წლის ქალია, მარა რომ არ გატყდა მისი გული, რომ არ ხუცდება, ყორიფელი ახალი, რაც კი მუა ჩვენში, მოდა იქნება თუ რამე ამბავი, უნდა გეირონიოს ხელში უსიკვტილოთ. წროულს ქრიშობისთვის შვაი იყო, იქიდან მოყოლებული რომ ეიჩემა, არ გამართვა ხომ საშველი: გინდა თუ არა, კალანდა ახალი სტილით, ახალ მოდაზე უნდა გევითენოთო... დამანებე, დედაკაცო, თავი, რა მეახალკალანდება, ახალი რა ხეირს დამაყრის, ძველს რომ არაფერი არ მუუცია ჩემდა მეთქი... რავარც თქვენ არ დაგკლავთ, არ მინდოდა მის ჭკუაზე წასვლა, ამას რავა მიზამდა გული შობა უკან მომეტიებია, ახალი წელი ქრიშობისთვის მარხვაში გემეთენებია, მარხუა გემეტეხა ამ ხნის კაცს... რომ ასვარეს ასე აი კარაბადინი, აგერ ორი წელიწადია, რომ აღარ მიდღესასტაულებია ჩემებურად კალანდა, თვარა, მანამდი, იცოცხლე შენც და მეც, ჩემსავით ერთი ვერ გეიღოცავდა კალანდას გურიაში, საჩიჩილაკე თხილის ხეი ერთი წლიდან მქონდა ამორჩეული ტყეში, ჩიჩილაკს ჩამოვქნიდი ორი ჩემი სიგრძეს, რომ შემოვკაზმავდი სუროთ, კურკანტელით, წამოვაგებდი ზედ ბოკელს, კვინჯილას, ვაშლს, აბრეშუმს, ფულს, ზედ კაი უშველებელ ტახის თავს რომ გადმუაყუდებდი, შეუქიქღილებდი სანთლებს ქვეშ, აბა კალანდა დილას გალოცვას ვინ მომასწრებდა, ჩემს ყარაბინას რომ ვბრიგებდი, თელი სოფელი გეიღვიძებდა და მერე დეიწყებდენ გალოცვას. ჩემი ანუსია ძალიანი ყიამეთი ქალია, მარა კალანდა დილის გალოცვიზა გადარეული იყო, ისე მოწონდა, ჩამომეკოპწიალებოდა კისერზედ, კეკალ ტუნჩში ჩამბროშტავდა და მეტყოდა: „გენაცვალე ყაძახობაში, გაბილა, თუა ერთი ყაძახი გურიაში, შენც ქე ხარო... აპა!! ასე მიხაროდა კალანდის გათენება, მარა რომ ამირიეს დავთარი, მივანებე თავი და არც მინდოდა გამეხსენებია იგი... მარა, რომ არ, მომცა საშველი, რა მექნა... რავა, არ გაგიგონია, დედაკაცმა თქვა თურმე, ზღვას დავწვავო, ეიღო ნიგუზალი და ქე ჯგუბა თურმე შით... ქალის გულს რა მოდრეკს... დამიყოლია ხომ თავის ნებაზე, რა მექნა, შუუდექი კალანდიზა მზადებას, მეზობლები დამცინოდენ: „ბიჭო, გაბილა, რამ გაგაბდლა, რავა, შენც ცოციალისტობ, თუ რა არისო... მე ქე მ ხვენოდა, მარა ასე ვუჩიოდი იგენს: „რა მენაღვლება, ახალსაც გევითენებ და ძველი ხომ წინ მაქვს, ორივე რავა გამოდგება უბედური, ან ძველი წელიწადი კი იქნება ბედნიერი და ან ახალი მეთქი“... არაკაცს არ უუქმებია ჩვენს ეუხუროში ჩემს მეტს ახალი კალანდა. რაღამც ვუქმობ, ქე ვიდღესასტაულებ ბარაღამ კარგათ მეთქინ... მართლა არაფერი არ დამიკლია, რაც კი შეიძლებოდა ამ დაღუპულ დროში... გეივლოცე კალანდა დილას, ვისურე ქვეყნიზა მშვიდობიანობა, ჩვენი ქვეყნის ბედნიერება, ჩვენი მტრების თვალების დაყენება, ამ ასვრილი ქვეყნების დაწესრიგება, კაცთა შორის მშვიდობა, ჭადის, ფართალის, პურის, და ყველაფერის, რაც საჭიროა ამის გაეფება, ვუსურე ჩემს ანუსიას სიცოცხლე და ჯანთელობა, გადავბროშტე და ვბრინგე ჩემი ყარაბინერა, რაც იქნეს, იქნეს, ვუთხარი ანუსიას, კი გამააბდლე აი კაკალი კაცი, მარა ვნახოთ, ერთ შენს ჭკუაზეც გევიარ მეთქინ. დავჭედით, ვისაუზმეთ... არ გუუარია ნახევარ საათს და მოგვადგენ კარზე გვარდიელები: „ამდილას, გამთენიესას რომ ზარბაზანსავით... ბრიგა, ვინ იყო იგი, გვითხარი მალეო...—ვინ იყო და მე ვიყავი, კალანდა გეგვითენე ახალ მოდაზე მეთქინ... არ დამიჯერეს, შევიყვანე სახლში, ვაჩვენე ჩიჩილაკი... მაშვინ ქე დეიჯერეს, დავჭედით სადილზე და საღამომდი სულ ბრეევალ ჭამიერ და ალილო ვიძახეთ... ძაან იამეს გვარდიელებს, თქვენ ნამდვილი ცოციალისტები ყოფილხართ, რომ ახალ მოდას მისდევთო...—აბა, თქვენ ბალშონიკი გეგონეთ, რომ მომადექით ამ დილას კარზე მეთქინ, ვუთხარი იგენს.. არა, თოფის სროლა ყველაიზა აკრძალულია და იმიზა მუედითო... კაი, დაგემართოს. გავატარეთ ასე კალანდა. მევიდა შობა. შობა ხომ ძველებურაო ვიდღესასწაულეთ... მეორე კალანდაც მინდოდა შედღესასწაულებია, მარა, გეიარა რამდენიმე დღემ და იმისანე სასიხარულო ამბავი მევიდა, რომ რაღა გინდა შენ უკეთესი: საქართველო სახელმწიფოთ იცვნესო.—გაგვიხარდა, მარა, რაფერ მერე, ბიწაზე ფეხს არ ვაკარებდი სიხარულით, ანუსიე ხომ სულ იმას მეუბნებოდა, რომ ახალი სტილით კალანდა, ნახე რა ბედნიერი ყოფილაო!..

—კი ყოფილა, რაღა დროისაა, კაი, მაი ახალი კალანდა, ახლა კი ვარ მადლიერი, რომ დაგიჯერე და ახალი კალანდა დევიბედნიერეთ, ამისთანა სასიხარულო ამბავი და ბედნიერება არც ერთ კალანდას არ მუუტანია ქვეყნიზა მეთქინ... დედა, რა მოგვესრა აგი, იქნება დევისვენოთ აწი, იქნება დიეწყოს ქვეყანა, რამე გაიეფდეს და შიმშილით და უპინჭო—უტანსაცმლოთ არა მოვკტეთ,—დავანებე თავი, ძველი კალანდა რავა მინდა აწი, აი, შობა და ახალი კალანდა კია არეული, მარა მაგას ქე გაასწორებენ თურმე, შობას წინ დასწევენ და კალანდა მერე იქნება თურმე. ყველაფერი ჭკაი მოგასწროს ღმერთმა ყველას, ჩვენ კაი ამბავი და ბედნიერება მოგვიტანა ახალმა კალანდამ, ქვეყანა დიეწყოს, რაცხა ხალხმა სული მეითქვას, თვარა მე ჩემს თავს რას ვჩივი აწი, სამარეში ვიხედები. ჩემი დამოუკიდებლობა მაინც არ იქნება ჩემი ანუსიეს ხელში, რაც უნდა იმას მაქნიებს და როისაც უნდა მაშვინ, აგი სიდოური დამუუკიდებლობა არის, მარა ჩემს თავს რას ვჩივი, თუ ჩვენი ქვეყანა კი წინ წაგა...

ლუკაიეს ობოლი.

რეფორმის შემდეგ

ჩვენი მოლოდინი არ გამართლდა და მას შემდეგ, რაც 6 მან. მაგიერ 10 მანეთად გავხადეთ №, უწესეობაც და თავპირისმსხვრევამ კიდევ უფრო იმატა ქუჩაში ჟურნალის გამოსვლისას. მილიციის უფროსი, რაკი ვერაფრით დაამყარა წესრიგი, იძულებული გახდა სამსახურისათვის თავი დაენებებია.

მაგიერში ჩვენ, ჟურნალის თანანშრომლები და გამომცემელი, როგორც ხედავთ, ცოტათი მოვჯობინდით და უწინდებურათ გაძვალტყავებული აღარა ვართ!

ჩვენი გამომცემელი კი ეხლა თავის თანამშრომლებს უკან აღარ რჩება და ერთი-ორად ინაზღაურებს გა-ნვლილ 6 მანეთიან დროების დანაკლისს.

ფედერალისტების „მოღვაწეობა“ ფოსტა ტელეგ. უწყებაში

დ. მგელამე. დასწყევლოს ღმერთმა, დღე და ღამე თავს დავსტრიალებ ამ მანქანას, შეხედავ თითქო არაფერი აკლია, მაგრამ მაინც ვერ მუშაობს ისე, როგორც უნდა მუშაობდეს. ნეტავ რა ჯანდაბა უშლის?

ქვეშქვიშაები. (თავისთვის) აბა ბიჭებო, გაუჩხირეთ ჯოხები ბორბლებში, დაე ეწვალოს.

ქრონიკა.

დ. აბაშა. დღე იგი ამა წლისა იანვრის 30, შინაგან საქმეთა მინისტრის ჩამობრძანებისა სამწუხარო დღეთ უნდა ჩაითვალოს აბაშის ცხოვრებაში. მინისტრის მოლოდინში და მის მოურავების მიერ პირისაგან მონისა აღგვილ განიავებულ იქნა ქუჩებსა და მოედანზე მრავალ წლობით დაგროვილი ძველი განძეულობა, ეროვნულად ძლიერ გაუჭირდება ცხოვრება ჩვენს დაბას.

ჯიჭიე.

მუხრანი მუხრანის ზოგიერთ სავაჭროებში, ღამღამობით „ბანქოს“ საშვალებით იმართება 1919 წ. მოგებულ ფულების განაწილება. რადგანაც ზოგიერთ ამხანაგებისათვის მოგებიდან არაფერი ურგუნებიათ და ჯიბე-გაფხეკილი დარჩენილან, ატეხილა ერთი ალიაქოთი და მიხლა-მოხლა. წესიერების აღსადგენათ სოფლის ადმინისტრაცია იძულებული გახდა, სავაჭროდან ისინი გაეფევნა— და, სავაჭროს კარებზე კი კომისარიატის ბეჭედი დაესვა.

ნემსი.

სპეკულიანტების სიმღერა.

(კახეთისთვის)

სურგილმა გამდიდრებისა დამიფრთხო ბეჩავს ძილიო;
კახეთის სოფლებს მივადექ—გამოუთხარე ძირიო.
ერსა, ბერსა და თავადსა, ყველას გავკარი კბილიო;
ქვრივ-ოხერთ ტყავი გავაძრე, მთლათ ამოვწოვე ტვინიო.
ჭამაში მადა გახსნილსა ზედ შემომესწრო ომიო,
ოხრათ გაძვირდა ყოველი: პური, სიმინდი, ღომიო.
გიყვარდეს—გავძვერ, გამოვძვერ, დავაფაციცე თვალები...
საპონს და ფერ-უმარილსა მთხოვდენ გაღმური ქალები.
ქალაქს კი პური ჰშიოდა, „პუდრა“ ვის აგონდებოდა!..
ყველგან ვიხმარე ფანდები, სადაც რა გამოდგებოდა.
დამშეულთ პური ვუზიდე, გამამძღართ ფერ-უმარილი;
თბილისელთ ჭაჭის არაყი, სოფლელებს გოხი-მარილი.
თანაც ვატყობდი, რომ ხალხი უფრორე—დაიმშეოდა.
იმდენი პური დავმალე, სარდაფში არ ეტეოდა.
და, როცა თავისუფლებამ რუსეთი სულ მთლათ არია,
დამალულს ყიდვა დავუწყე მაშინ დამიდგა დარია...
თბილისშიც სახლი ვიყიდე კოხტა, ლამაზი დიდია.
მე კარგათ ვცხოვრობ, ხალხი კი ფეხებზეც არა მკიდია.

ჯიბილა.

მთავარი სახელოსნოები.

განცხადებების დაფაზე.

პირველი განცხადება:

მაქვს პიტივი ვაუწყო სახელოსნოების პატივცემულ მუშებს, რომ ამიერიდან ავათმყოფთა ბინაზე გასინჯვა მოხდება რიგში ჩაწერით. ჩასაწერათ უნდა მიმართოთ სახელოსნოების „ოკოლოტკის“ დარაჯს, რომელიც ფერშლობისათვის მოსამზადებლათ არის დანიშნული ჩემთან. თუ რიგის მოწევამდე ავათმყოფის მდგომარეობა გაუარესდა, მაშინ უნდა მიმართოთ ჩემს ორ თანაშემწეთ, რომელთაც თამამათ შეუძლიათ ჩემი მაგივრობა, მიუხედავათ იმისა, რომ მე ექიმი ვარ და ისინი ფერშლები. ავათმყოფობის თავიდან ასაცილებლათ საჭიროა სასტიკათ ასრულებდეთ შემდეგ დიეტას:

1. მიიღებდეთ დღეში თითო ჩაის ჭიქა „კარდანახს“ სულზე;
2. რგვალათ მოხარშულ ვარიას;
3. თითო ბოჟომის ბოთლ რძეს;
4. ათ ცალ კვერცხს ერბოში შემწვარს და
5. ექვს ფრანგულ ბულკს.

წინაღმდეგ შემთხვევაში ეპიდემია ფართე ხასიათს მიიღებს და, ისედაც კერძო პრაქტიკით მოუცლელი რკინის გზის ექიმები, იძულებული ვიქნებით მოვაკლოთ ჩვენი დახმარება რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთ.

მთავარ სახელოსნოების ექიმი **ოჩერედნოვი.**

ცოცხი.

სოლომონ ზურგიელიძის ხსოვნას.

(საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის გამო)

დღეს ჩვენი ხალხი ოდეს ლხინსა და ზეიმშია
რომ გამოსჭედა სანუკვარი მან ბედი თვისი,
სამწუხაროა რომ შენც ჩვენთან ეხლა არა ხარ
და ვინ შეავსოს ჩვენთვის დიდი ეს დანაკლისი.
ჟამსა ბნელისას შენ იყავი ჩვენი მფარველი,
როგორც ლამპარი გვინათებდი გზას გასავლელსა,
და რომ იმედი ჩაგვნერგა ტანჯულთა გულში
დაუღალავად მუდამ ქნარი გეჭირა ხელსა.
მწარე ლექსებით დატიროდი სამშობლოს ბედსა,
იდუმალ ცეცხლით თან იწვოდი ვით საკმეველი,
შეუდრეკელად დაინტაჯე უსწორ ბრძოლაში,
ვით გოლგოთაზე წამებული ნაზარეველი.
მონობის დროში ვის ეგონა მიგვატოვებდი,
გაუხარელი ჩახვიდოდი ცივ სამარეში
და შენს ქნარსაა თვით ზეციდან ჩვენთვის მოვლენილს
დაადუმებდი, წაიღებდი უცხო მხარეში.
ნაყოფს ბრძოლისას ვერ მოესწარ, მუდამ უბედო,
ისე მიიკარ ტანჯულ გულზე შავი სიკვდილი,
მაგრამ საყვარელს შენს სამშობლოს, ეხლა ბედნიერს,
დღეს მხიარული თავს ევლება შენი აჩრდილი,
უკვე აღსრულდა შენგან თქმული ბრძნული სიტყვები
„როს გაცოცხლდება საქართველო,—მაშინ აღსდგება“
და კიდეც აღსდგა. გიხაროდეს საფლავში მაინც;
აქ კი მარადის შენს სახელსა ქებათა-ქება.

ტუზი.

ნანგრევებზე

ქ-ნი ანტანტა. საკვირველია ამ ნანგრევზე რამდენი სოკო აღმოცენდა. ვნახოთ ჩემთვის რომელი იყარგებს.

ჭაგან-ღანირის რესპუბლიკა.

15 დეკემბერი. (დაგვიანებულია) ჭაგან-ღანირის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა უკვე იცნო როგორც საქართველოს მთავრობამ, აგრეთვე ქუთაისის სამაზრო ერობამაც.

ამ სახელმწიფოთა ელჩები უკვე ჩამოვიდნენ და დაბინავდენ „ვერხვის მინდორზე“.

„ვერხვის მინდორზე“ ამ ფრიად მნიშვნელოვან და ისტორიულ აქტის აღსანიშნავათ გამართულ ნადიმზე ხსენებულ რესპუბლიკის მთავრობის მიერ მოწვეული იყო სხვა და სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენელნი. ნადიმზე გრძელი სიტყვა წარმოსთქვეს შინაგან საქმეთა მინისტრმა დომენმა და საგარეომ—ლადონმა. „ეს დდეო“, სთქვა დომენმა „ყველა დღეებში გამორჩეულია; ათასი წლობით დაჩაგრულმა ერმა „სამხრეთელმა“ თავი გაინთავისუფლა; გამონახა ისეთივე ჩაგრული ერი, როგორიც არის ჭაგრისელნი და მჭიდრო კავშირი შეკრა მასთანაო. მომავალ სახელმწიფოებრივ აღმშენებლობითი მუშაობისათვის შედუღდა და შეუსისხლორცდა ერთმანეთსაო.

მისალოცი სიტყვები წარმოსთქვეს ქუთაისის სამაზრო ერობის გამგეობის წევრებმაც და უცხო სახელმწიფოთა ელჩებმაც.

ნადიმი დამთავრდა მეორე დღის 4 საათზე.

16 დეკემბერი. აღმოჩნდა, რომ ღანირი შესდგება ორი ერისაგან. ამ ერთა სახელწოდება გამოჩენილ ისტორიკოსების გამოკვლევით ასეთია: ჩრდილოელი და სამხრეთელი. ჩრდილოელი ერი შეადგენს სამ მეოთხედს მთელ ღანირისას და ბინადარია, მისდევს მიწის მუშაობას, ხოლო სამხრეთელი ერის დიდი უმრავლესობა ჯერაც მოხეტიალეა და უფრო ეტანებიან მეჯოგეობას.

საზღვარი ამ ორ ერთა შორის ასეთია: ღანირის-ქუტირის რესპუბლიკის პარლამენტის შენობა, თვით ღანირის უნივერსიტეტი და თხილავების უბანი.

---

17 დეკემბერი-19 წ. სამხრეთელი ერის ნაწილი, რომელიც გამიჯვნის დროს ჩრდილოელ ერში მოჰყვა და გაითქვიფა აღშფოთებას გამოსთქვამენ იმის გამო, რომ ისინი არ მოჰყვენ ჭაგან-ღანირის სახელმწიფო საზღვრებში*).

---

18 დეკემბერი-19 წ. ღანირ-ქუტირის სახელმწიფოს ქვეშემვრდომ ერმა—სამხრეთელმა თავი მოიყარა თავისუფლების მოედანზე და უთვალავ დროშებით და პლაკატებით, რომელზედაც წერა: „ძირს ღაირ-ქუტირის თვითნებობის სახელმწიფო, გაუმარჯოს ღანირის მთლიანობას მხოლოდ ჭაგან-ღანირის რესპუბლიკის საზღვრებშიო.

გაემართა „ვერხვის მინდვრისაკენ“. პოლიციასა და დემონსტრანტებს შორის მოხდა შეტაკება. დაჭრილია ათი და მოკლული ხუთი—ამათში: ერთი კაცი და ოთხი ქალი. მიუხედევათ ასეთი ზომებისა დემონსტრანტებმა საღამოს კვლავ თავი მოიყარეს თავისუფლების მოედანზე. გამოიტანეს შემდეგი დადგენილება: აირჩიონ დელეგაცია და გაგზავნონ ქუთაისის სამაზრო ერობაში ღანირ-ქუტირის მთავრობისადმი პროტესტის გამოსაცხადებლათ, და მეორე, რათა შუამდგომლობა აღძრან ქუთაისის სამაზრო ერობის გამგეობასთან საზღვრის შესაცვლელათ ჭაგან-ღანირსა და ღანირ-ქუტირის რესპუბლიკათა შორის, ვინაიდან მათ ასე სურთ (სამხრეთელებს).

დელეგაციაში შედის სამი პირი ჩრდილოელ ერის თავგამოდებული მოღვაწეთა და ქუთაისელი ებრაელი აბეშა.

---

19 დეკემბერი-19 წ. ჭაგან-ღანირის პრეზიდენტი ვალონი დეკემბრის 24, დილის 10 საათზე, საგანგებო მატარებლით გაემგზავრება ქუთაისს.

ინახულებს სამაზრო ერობის ზოგიერთ ხმოსნებს და გამგეობის წევრებს, აგრეთვე ბ-ნ ლომიხვადს, რომელიც დიდი სიმპატიით ეპყრობა ჭაღან-ღანირის რესპუბლიკას.

*) წინათ არსებობდა ერთი ღანირის რესპუბლიკა. ამ სახელმწიფოში შედიოდენ მრავალი ერები. ახლა კი შესდგება ორი რესპუბლიკისაგან, ჭაგან-ღანირი და ღანირ ქუტირი, ღანირი გაყოფილია ორათ. **ავტ.**

პრეზიდენტს მიიღებენ ქუთაისის სამაზრო ერობის სალაროს კარიდორში (დასაცდელი ოთახი).

რის შემდეგ სადილს მიირთმევენ სასადილო „კოოპერაციაში“.

კუდიანი.

ბრძანება

საჩხერის გენერალ-გუბერნატორისა.

როგორც ადიუტანტების მოხსენებიდან სჩანს, ჩემს საგენერალ-გუბერნატოროში, ძლიერ უკლია „ბაქარის“ თამაშს; მწუხარებით აღვნიშნავ რა ამაზე,—წინადადებას ვაძლევ ჩემს ხელ-ქვეითთ, რათა უპირველესი ყურადღება მიექცეს სათამაშოთა ფარულ ადგილების შოვნას.

ვაცხადებ სოფლელ მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ მე, გენერალ-გუბერნატორს, სრულიადაც არ მქონია მხედველობაში დამეწესებია 8-საათის სამუშაო დღინის სმა. მათ უფლება აქვთ იქეიფონ მთელი დღე და ღამე—თუ კი ამას ისურვებენ.

ფოსტა.

ფიალვაძეს. ჩვენს რედაქციას ძლიერ ეინტერესება გაიგოს ვინ გასწავლიდათ თქვენ გეოგრაფიას. ისეთი ხალხი, რომელიც „ცხვირში შამფურს იყრის“ ავსტრალიაში სცხოვრობს და არა ავსტრიაში

ავტორს. (რომლის სახელი და გვარი ვერ ამოვიკითხეთ) თქვენს ლექსში ერთი შეკითხვა არის: „მაგრამ მე ჯერეთ რჩევა მომეცით, ტკივილებსა ვგრძნობ თუ მოვრჩებია?„ თუ ეს ტკივილები ლექსის წერით არის გამოწვეული, თქვენი მორჩენა ერთობ საეჭვო იქნება. სხვა მხრივ ნურაფრის გეშინიათ.

გოგიას. იხილე მე 11 ნომერი, გვერდი მე 13-ტე ჩვენ არაფერი დაგვრჩენია.

ბუტა-ბაქურას. „ფსევდონიმს თავი მოვგლიჯე,
ეხლა ვარ ბუტა-ბაქურა.
და მაპატივე, ეშმაკო,
მუზამ თუ დამაფხაკურა“

შეგინდოს უფალმა, ძმაო! ჩემი პატიება თუ კი იკმარებს ამაზე ადვილი რაღაა, მე მუდამ თანაგრძნობით ვეკიდები თქვენს ბედში მყოფთ.

გაქცეულს. დავნიშნეთ სენატორთა რევიზია შინაარსის გამოსარკვევათ.

საკრამენტოს რა კარგი იქნებოდა მოკლეთ რომ დაგეწერათ და გარკვეულათ.

კოჭობინელს. თქვენ იწერებით: „ჩვენმა სოფელმა გადასწყვიტა ააგოს სკოლისათვის **ენგურის** შენობაო.

ეს დასაჯერებელი იქნებოდა მდ. ენგური რომ იყინებოდეს.

„გუშან მოხალისეთა ჯარის წარმომადგენელმა ინახულა სომხეთის დიპლომატიური წამომადგენელი და განუცხადა, რომ დენიკინმა იცნო საქართველოს, და სომხეთის და აზერბეიჯანის დამოუკიდებლობაო“.

(„სლოვო“ № 30).

დენიკინი. მშვენიერო მეზობელო, მოხუცი კაცი ვარ ნუ გამიმტყუნებ, თუ ამდენს ხანს ვერ გიცანი. ახლა კი გცნობ, შენ სწორედ საქართველო ხარ...

საქართველო. თქვენ თით-ნ ვინა ბრძანდებით. სრულად ვერა გცნობთ...

ნახუცურელს. „ეშმაკის მათრახს“ ფოთიდან ბუტუნა აწვდის ცნობებს: თქვენი კარიკატურის გეგმა გვარიანია, მხოლოდ არ ვიცით რა საგანზე გსურთ რომ დაიხატოს.

მაჭვრეტის. ჯერ დაგვისაბუთეთ და შემდეგ დავბეჭდავთ.

მოქალაქეს. თქვენს თხოვნას: „შეშის სიძვირე ზე მეთაური წერილი დავსწეროთ“ ვერ გისრულებთ, ვინაიდან ჩვენ ქვანახშირს ვხმარობთ.

უცნობ ეკონომისტს. ჩვენ რესტორან „რაჭაში“ ვსადილობთ. კერძო ხასიათის ცნობებს არ ვიძლევით

ლინგვისტს. სიტყვა „ВИНОВНИКЪ“-ს ზოგიერთი „მეღვინეთ“ სთარგმნის. სატერმინო კომისიას უფრო სწორად მიაჩნია „სირაჯი“, საინტერესოა თქვენი აზრიც.

ოზურგეთში ნამყოფს. შე კაი კაცო ამოდენა წერილი ისე გარკვეულათ დაგიწერია და რისთვის გაგიჭირდა სახელისა და გვარის წასაკითხავად მოწერა?

მისწრებას. თქვენმა „გეურქამ“ ვედარ მოუსწრო მორიგ ნომერს, გზაში გარდაიცვალა.

უცნობს. თქვენი „შარადა“ რომ დაგვებეჭდა უკვე „ცნობილი“ იქნებოდით, მაგრამ ცნობილი შეიძლება....

ბზიას. რედაქციამ უნდა იცოდეს ვისზე სწერთ, რატომ სწერთ. არ დაიბეჭდება.